

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
რეგლამენტში დამატების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) დაემატოს შემდეგი შინაარსის 18<sup>1</sup> პუნქტი:

**„მუხლის 18“**

იმ უმაღლესი საბჭოს წევრის საბინაო პირობებით უზრუნველყოფა, რომელსაც არ გააჩნია ბათუმში საცხოვრებელი ფართობი, ხორციელდება უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში. აღნიშნულის შესახებ უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადება უნდა წარედგინოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავალებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი შეისწავლის განცხადების საფუძვლიანობას, განმცხადებლის ქონებრივ დეკლარაციას (ქონებრივ დეკლარაციაში ქალაქ ბათუმში საცხოვრებელი ბინის დაფიქსირების შემთხვევაში, მიუხედავად ბინის მდგომარეობისა, ბინის ქირის თანხა არ გაიცემა) და ამზადებს შესაბამის დასკვნას, რომელიც წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს განცხადების საფუძვლიანობის შესწავლისათვის საჭირო ნებისმიერი დოკუმენტაცია. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს წევრი უმაღლესი საბჭოს აპარატის საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის დეპარტამენტს წარუდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას ბინის ქირავნობის შესახებ. ბინის ქირავნობისათვის გამოყოფილი თანხა უმაღლესი საბჭოს წევრს უნაზღაურდება სანოტარო წესით დამოწმებული ბინის ქირავნობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედებიდან და ირიცხება ხელშეკრულებაში მითითებული გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 2.** ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ მახარაძე

ბათუმი,  
2007 წლის  
№